ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

ოქმი:ო97. 9724313001
თარიღი:08/11/2024

**ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

**რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი N-19**

**დ. ლენტეხი 6 ნოემბერი 2024წ.**

მიმდინარე წლის 6 ნოემბერს დღის 11 საათზე ჩატარდა ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა. სხდომას უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი გაზდელიანი. სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სხდომას ესწრება საკრებულოს 16 (თექვსმეტი) წევრი, საპატიო მიზეზით არ ესწრება საკრებულოს 5 ( ხუთი) წევრი.

მოწვეული სტუმრებიდან სხდომას ესწრებოდნენ მერის მოადგილეები მარადი ლიპარტელიანი და ზვიად ლობჟანიძე, მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვალები და მერის წარმომადგენლები ადმინისტრაციულ ერთეულებში.

**სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს გააცნო სხდომის დღის წესრიგის პროექტი:**

1.,,2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხს: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსი ტახუ ჩანქსელიანი/**

**2.** ,,2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხს: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ლამზირა გუგავა/**

დღის წესრიგთან დაკავშირებით შენიშვნა არ ყოფილა. დღის წესრიგის დამტკიცების მიზნით ჩატარდა ღია კენჭისყრა:

ხმათა უმრავლესობით მომხრე -16

წინააღმდეგი -0

**დაადგინეს: დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.**

**1.მოისმინეს:** მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ტახუ ჩანქსელიანმა სხდომის

წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი **-** ,,2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი ხელფასები არ იყო გათანაბრებული მხარის ადმინისტრაციის ხელფასებთან იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი არის მცირე. დღეს არის ადგილობრივ ბიუჯეტში თანხის მატება და ამავე დროს ხელისუფლების კეთილი ნება, რომ კანონის შესაბამისად მოხდეს სახელფასო სარგოების გათანაბრება მხარის ადმინისტრაციის სახელფასო სარგოებთან.

**აზრი გამოთქვა:** ფრაქცია ,,მოქალაქეები საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ნინო ბენდელიანმა - რა მოლოდინი უნდა ჰქონდეს ა(ა) ი. პირებში დასაქმებულ პირებს, რომელთაც აქვთ დაბალი სახელფასო სარგოები.

**პასუხად** საკრებულოს თავმჯდომარემ გიორგი გაზდელიანმა აღნიშნა, რომ მიდის მსჯელობა ამ საკითხზეც და ყველაფერი გაკეთდება იმისთვის, რომ ყველა დასქმებულს ჰქონდეს ღირსეული ანაზღაურება.

სხვა განსხვავებული აზრი არ დაფიქსირებულა.

**ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე - 15**

**თავი შეიკავა-1**

**წინააღმდეგი -0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი **-** .,,2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

2**. მოისმინეს:** საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ლამზირა გუგავამ სხდომის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ,,2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

შენიშვნა საკითხთან დაკავშირებით არ ყოფილა.

**ღია კენჭისყრის შედეგით:**

**მომხრე - 15**

**თავი შეიკავა-1**

**წინააღმდეგი -0**

**დაადგინეს:** დამტკიცდეს დადგენილების პროექტი **-** 2024 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 დეკემბრის N-31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ დღის 12 საათზე ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა დასრულდა.**

გიორგი გაზდელიანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი